

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6
2019 წლის 6 მაისი

დაბა ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის №48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 19/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.128.016363) და აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე

დანართი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15,398.9	9,225.8	6,173.1	13,837.7	6,705.4	7,132.3	13,785.3	6,237.5	7,547.8
გადასახადები	1,300.3	0.0	1,300.3	1,404.0	0.0	1,404.0	5,997.8	0.0	5,997.8
გრანტები	13,059.9	9,225.8	3,834.1	10,931.8	6,705.4	4,226.4	6,237.5	6,237.5	0.0
სხვა შემოსავლები	1,038.7	0.0	1,038.7	1,501.9	0.0	1,501.9	1,550.0	0.0	1,550.0
ხარჯები	6,379.2	578.0	5,801.2	6,853.3	431.0	6,422.3	8,564.9	1,344.1	7,220.8
შრომის ანაზღაურება	1,347.1	104.6	1,242.5	1,669.6	67.5	1,602.1	1,748.7	66.0	1,682.7
საკონელი და მომსახურება	1,032.1	253.1	779.0	755.2	227.8	527.4	1,413.4	681.0	732.4
სუბსიდიები	3,429.1	159.8	3,269.3	3,639.5	71.0	3,568.5	3,833.0	70.0	3,763.0
გრანტები	0.4	0.0	0.4	0.4	0.0	0.4	14.2	0.0	14.2



სოციალური უზრუნველყოფა	486.0	2.0	484.0	463.5	0.5	463.0	630.0	2.0	628.0
სხვა ხარჯები	84.5	58.5	26.0	278.0	64.2	213.8	880.1	525.1	355.0
საოპერაციო სალდო	9,019.7	8,647.8	371.9	6,984.4	6,274.4	710.0	5,225.4	4,893.4	332.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,013.2	4,813.8	199.4	6,922.0	6,503.5	418.5	9,684.0	8,862.5	821.5
ზრდა	5,109.1	4,813.8	295.3	6,947.4	6,503.5	443.9	9,724.0	8,862.5	861.5
კლება	95.9	0.0	95.9	25.4	0.0	25.4	40.0	0.0	40.0
მთლიანი სალდო	4,006.5	3,834.0	172.5	62.4	-229.1	291.5	-4,463.6	-3,969.1	-494.5
ფინანსური აქტივების ცვლილება	3,993.6	3,823.8	169.8	62.4	-229.1	291.5	-4,463.6	-3,969.1	-494.5
ზრდა	3,993.6	3,823.8	169.8	291.5	0.0	291.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	3,993.6	3,823.8	169.8	291.5		291.5	0.0		
კლება	0.0	0.0	0.0	229.1	229.1	0.0	4,463.6	3,969.1	494.5
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			229.1	229.1		4,463.6	3,969.1	494.5
ვალდებულებების ცვლილება	-12.9	-10.2	-2.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	12.9	10.2	2.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	12.9	10.2	2.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15,494.8	9,225.8	6,269.0	13,863.1	6,705.4	7,157.7	13,825.3	6,237.5	7,587.8
შემოსავლები	15,398.9	9,225.8	6,173.1	13,837.7	6,705.4	7,132.3	13,785.3	6,237.5	7,547.8
არაფინანსური აქტივების კლება	95.9	0.0	95.9	25.4	0.0	25.4	40.0	0.0	40.0
გადასახდელები	11,501.2	5,402.0	6,099.2	13,800.7	6,934.5	6,866.2	18,288.9	10,206.6	8,082.3



ხარჯები	6,379.2	578.0	5,801.2	6,853.3	431.0	6,422.3	8,564.9	1,344.1	7,220.8
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,109.1	4,813.8	295.3	6,947.4	6,503.5	443.9	9,724.0	8,862.5	861.5
ვალდებულებების კლება	12.9	10.2	2.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	-4,463.6	-3,969.1	-494.5

მუხლი 3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 13 785.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15,398.9	9,225.8	6,173.1	13,837.7	6,705.4	7,132.3	13,785.3	6,237.5	7,547.8
გადასახადები	1,300.3	0.0	1,300.3	1,404.0	0.0	1,404.0	5,997.8	0.0	5,997.8
გრანტები	13,059.9	9,225.8	3,834.1	10,931.8	6,705.4	4,226.4	6,237.5	6,237.5	0.0
სხვა შემოსავლები	1,038.7	0.0	1,038.7	1,501.9	0.0	1,501.9	1,550.0	0.0	1,550.0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5 997.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1,300.3	0.0	1,300.3	1,404.0	0.0	1,404.0	5,997.8	0.0	5,997.8
საშემოსავლო გადასახადი	195.0		195.0	234.0		234.0	0.0		0.0
ქონების გადასახადი	1,105.3	0.0	1,105.3	1,170.0	0.0	1,170.0	1,050.0	0.0	1,050.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	180.6		180.6	245.2		245.2	150.0		150.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0	0.0



მიწისა)									
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0			0.0					
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	924.7	0.0	924.7	924.8	0.0	924.8	900.0	0.0	900.0
იურიდიული პირებიდან	924.7		924.7	924.8		924.8	900.0		900.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0		0.0	0.0		0.0	4,947.8		4947.8
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0		0.0	0.0		0.0	4,947.8		4947.8
დამატებული ღირებულების გადასახადი	0.0			0.0			4,947.8		4947.8

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6237.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13,059.9	9,225.8	3,834.1	10,931.8	6,705.4	4,226.4	6,237.5	6,237.5	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13,059.9	9,225.8	3,834.1	10,931.8	6,705.4	4,226.4	6,237.5	6,237.5	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,972.1	138.0	3,834.1	4,364.4	138.0	4,226.4	138.0	138.0	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,834.1		3,834.1	4,226.4		4,226.4	0.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	138.0	138.0		138.0	138.0		138.0	138.0	



ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	9,087.8	9,087.8	0.0	6,567.4	6,567.4	0.0	6,099.5	6,099.5	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	6,127.7	6,127.7		6,199.0	6,199.0		4,655.0	4,655.0	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0			0.0			860.0	860.0	
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	378.5	378.5		308.5	308.5		245.1	245.1	
სპეციალური ტრანსფერი	2,581.6	2,581.6		59.9	59.9				
გრანტები ცენტრალური სსიპ-ებიდან							339.4	339.4	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1550.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1,038.7	0.0	1,038.7	1,501.9	0.0	1,501.9	1,550.0	0.0	1,550.0
შემოსავლები საკუთრებიდან	99.1	0.0	99.1	107.8	0.0	107.8	115.0	0.0	115.0
პროცენტები	3.0		3.0	2.4		2.4			
რენტა	96.1	0.0	96.1	105.4	0.0	105.4	115.0	0.0	115.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	56.2		56.2	40.9		40.9	70.0		70.0



შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	39.9		39.9	64.5		64.5	45.0		45.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	48.2	0.0	48.2	33.4	0.0	33.4	35.0	0.0	35.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	48.2	0.0	48.2	33.4	0.0	33.4	35.0	0.0	35.0
სანებართვო მოსაკრებელი	5.6		5.6	1.8		1.8	0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	42.6		42.6	31.6		31.6	35.0		35.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	890.9		890.9	1,336.5		1,336.5	1,400.0		1,400.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.5		0.5	24.2		24.2	0.0		0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 8 559.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6,379.2	578.0	5,801.2	6,853.3	431.0	6,422.3	8,564.9	1,344.1	7,220.8
შრომის ანაზღაურება	1,347.1	104.6	1,242.5	1,669.6	67.5	1,602.1	1,748.7	66.0	1,682.7
საქონელი და მომსახურება	1,032.1	253.1	779.0	755.2	227.8	527.4	1,413.4	681.0	732.4
სუბსიდიები	3,429.1	159.8	3,269.3	3,639.5	71.0	3,568.5	3,833.0	70.0	3,763.0
გრანტები	0.4	0.0	0.4	0.4	0.0	0.4	14.2	0.0	14.2
სოციალური უზრუნველყოფა	486.0	2.0	484.0	463.5	0.5	463.0	630.0	2.0	628.0



სხვა ხარჯები	84.5	58.5	26.0	278.0	64.2	213.8	880.1	525.1	355.0
--------------	------	------	------	-------	------	-------	-------	-------	-------

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება - 9 684. 0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა - 9 724.0 ათასი

ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	22,7	0,0	22,7	22,7	0,0	22,7	40,0	0,0	40,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	5,7	0,0	5,7
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 886,2	4 643,1	243,1	6 893,0	6503,5	389,5	9600,6	8862,2	738,1
04 00	განათლება	176,8	164,6	12,2	18,6	8,2	8,2	31,2	0,0	31,2
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	13,4	6,1	7,3	21,5	0,0	21,5	2,9	0,0	2,9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	10,0	0,0	10,0	2,0	0,0	2,0	43,6	0,0	43,6
	სულ	5,109.1	4,813.8	295.3	6947,4	6503,5	443,9	9724.0	8,862.5	861,5

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 40.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი		სახელმწიფო	საკუთარი



		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	95.9	0.0	95.9	25,4	0.0	25,4	40.0	0.0	40.0
ძირითადი აქტივები	72.6		72.6	12,0		12,0	15,0		15.0
არაწარმოებული აქტივები	23.3	0.0	23.3	13,4	0.0	13,4	25,0	0.0	25.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,080.7	93.3	1,987.4	2,194.4	0.0	2,194.4	2,358.1	0.0	2,358.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,080.7	93.3	1,987.4	2,194.4	0.0	2,194.4	2,358.1	0.0	2,358.1
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,080.7	93.3	1,987.4	2,194.4	0.0	2,194.4	2,318.1	0.0	2,318.1
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	40.0	0.0	40.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	83.8	71.8	12.0	85.8	67.5	18.3	89.3	66.0	23.3
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ხანძარსაწინააღმდეგო									



7032	დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	5,108.0	4,863.0	245.0	7,089.0	6,735.6	353.4	9,898.9	9,100.4	798.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
70421	სოფლის მეურნეობა	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
7045	ტრანსპორტი	5,106.5	4,863.0	243.5	7,089.0	6,735.6	353.4	9,888.9	9,100.4	788.5
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,106.5	4,863.0	243.5	7,089.0	6,735.6	353.4	9,888.9	9,100.4	788.5
705	გარემოს დაცვა	614.5	48.4	566.1	907.2	1.0	906.2	1,108.3	10.0	1,098.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	596.7	48.2	548.5	889.9	1.0	888.9	1,098.3	0.0	1,098.3
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	17.8	0.2	17.6	17.3	0.0	17.3	10.0	10.0	0.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	372.2	2.5	369.7	188.9	0.0	188.9	380.7	160.3	220.4
7061	ბინათმშენებლობა	0.0	0.0	0.0	0.4	0.0	0.4	100.0	0.0	100.0
7063	წყალმომარაგება	6.3		6.3	10.8	0.0	10.8	80.0	0.0	80.0
7064	გარე განათება	178.9	2.5	176.4	130.9	0.0	130.9	0.0	0.0	
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	187.0		187.0	46.8	0.0	46.8	200.7	160.3	40.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	126.9	70.0	56.9	126.9	70.0	56.9	132.6	70.0	62.6
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	126.9	70.0	56.9	126.9	70.0	56.9	132.6	70.0	62.6
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,152.3	26.0	1,126.3	1,251.3	0.0	1,251.3	1,317.5	0.0	1,317.5
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	331.1	4.4	326.7	374.8	0.0	374.8	385.3	0.0	385.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	708.5	21.6	686.9	758.1	0.0	758.1	795.0	0.0	795.0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	53.2	0.0	53.2	53.2	0.0	53.2	50.0	0.0	50.0
	რელიგიური და სხვა									



7084	სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	59.5		59.5	65.2		65.2	87.2		87.2
709	განათლება	1,337.8	187.7	1,150.1	1,291.1	0.0	1,291.1	2,128.4	749.4	1,379.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	958.7	19.0	939.7	1,083.3	0.0	1,083.3	1,160.0	0.0	1,160.0
7092	ზოგადი განათლება	104.7	0.0	104.7	104.8	0.0	104.8	863.4	749.4	114.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	104.7	0.0	104.7	104.8	0.0	104.8	863.4	749.4	114.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	274.4	168.7	105.7	103.0	0.0	103.0	105.0	0.0	105.0
710	სოციალური დაცვა	625.0	39.3	585.7	666.1	60.4	605.7	875.1	50.5	824.6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	444.9	0.0	444.9	425.0	0.0	425.0	649.6	0.0	649.6
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	444.9	0.0	444.9	425.0	0.0	425.0	649.6	0.0	649.6
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	28.3	0.0	28.3	27.0	0.0	27.0	32.0	0.0	32.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	149.8	37.3	112.5	213.6	59.9	153.7	191.5	48.5	143.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2.0	2.0		0.5	0.5		2.0	2.0	
	სულ	11,501.2	5,402.0	6,099.2	13,800.7	6,934.5	6,866.2	18,288.9	10,206.6	8,082.3

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -4 458.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -4 458.6 ათასი ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -4 458.6 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 40.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი



განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 138.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 66.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „იმულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები და ქვეპროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 11 387.9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, წყლის სისტემების მოწერიგება, საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა, მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა – 8 961.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის აღწერა: განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა. გაგრძელდება ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი: რეაბილიტირებული გზების რეოდენობა; რეაბილიტირებული

საყრდენი კედლების, ხიდ-ბოგირების რაოდენობა; თოვლისაგან გაწმენდილი გზები;

მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

ბ) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 8 482.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01 01)

ამ ქვეპროგრამით ძირითადად განხორციელდება თანადაფინანსების წესით მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია კერძოდ ასფალტ-ბეტონის საფარით მოწყობა, ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების გასწორხაზოვნება და თოვლის საფარისაგან გაწმენდა. გაგრძელდება რეგიონალური განვითარებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით გზების რეაბილიტაციის თანადაფინანსება.



გ) ხიდების, ბოგირების აშენება, შეკეთება - 459.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა დაბა ხარაგაულსა და სოფელ ისლარს შორის დამაკავშირებელი საცალფეხო ხიდი, ასევე აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების ხიდებს და ბოგირებს.

გ) მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 20.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01 04).

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მოსახლეობის მომსახურება მუნიციპალური ტრანსპორტით უკვე არსებულ ხაზზე და დაემატება ერთი ახალი ხაზი.

დ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 1 288.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა: განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. მრავალსაცხოვრებლიანი ბინების გადახურვა და ფასადების მოწყობა, მოხდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გადმოცემული ქონების სასესხო მომსახურების დაფარვა, გაგრძელდება სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი: ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა; მოწესრიგებული

საკანალიზაციო, სანიაღვრე არხები და წყლის მომარაგების სისტემა; მოწესრიგებული ფასადის მქონე მრავალბინიანი სახლების რაოდენობა; განათებული დაბა და სოფლის ცენტრები; გაუმჯობესებული დაბისა და სოფლის ცენტრების იერსახე; ექსპლოატირებული და რეაბილიტირებული სანათი წერტილების რაოდენობა; მოწყობილი დასასვენებელი და გასართობი ადგილების რაოდენობა; შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო; გამწვანებული და მოვლილი ინფრასტრუქტურა;

ე) მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია - 100.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03) აღნიშნული ქვეპროგრამით გადაიხურება სოფელ მოლითის და დიდვაკის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, მოეწყობა დაბაში მრავალბინიანი სახლების ფასადი.

ვ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 80.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნილებისამებრ წყლის სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (წყლის მიღების შეძენა და წყლის სათავე ნაგებობების მოწყობა)

ზ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია - 45.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 06)

ამ ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გადმოცემული ტექნიკისა და ინვენტარის ღირებულების საპროცენტო მომსახურება.

თ) დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება - 1052.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 07) აღნიშნული ა(ა)იპ შეიქმნა ინფრასტრუქტურის პროფილის ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად და ახორციელებს მათ მიერ აღებული ვალდებულებებისა და უფლებამოსილების განხორციელებას. როგორცაა დაბისა და პატარა ხარაგაულის ტერიტორიების დასუფთავება, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და სასოფლო გზების გავლითი დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებული პოლიეთილენის ბოთლებისა და მასალების შემგროვებელი კონტეინერების დაცლა. ქუჩების, ტროტუარების, პარკებისა და სკვერების მიმდინარე მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია. უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების თავშესაფარში გადაყვანა. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემების მიმდინარე მოვლა-პატრონობა და დაზიანებული წერტილების აღდგენა-რეაბილიტაცია. მერიის ადმინისტრაციული შენობის, ხევისა და ღორეშის იუსტიციის სახლების დასუფთავება და მიმდინარე მოვლა-პატრონობა.

ი) სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა - 10,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)



კ) სოფლის მეურნეობის დაფინანსება – 10.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 06)

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით აღნიშნული პროგრამით დაფინანსდება შესაბამის კონკურსში გამარჯვებული პროექტები

ლ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 200.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 04) პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაბის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა არსებული სკვერების რეაბილიტაცია, არსებულ სკვერებში მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბეღვა, სკვერებში და გაბიონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: მოწყობილი დასასვენებელი და გასართობი ადგილების რაოდენობა; შექმნილი ეკოლოგიურად სუფთა გარემო; გამწვანებული და მოვლილი ინფრასტრუქტურა;

აღნიშნული პროგრამა განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან.

მ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 200.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 030403) აღნიშნული ქვეპროგრამით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მოეწყობა დაბაში თ. კიკნაძის სახელობის სკვერი, პატარა ხარაგაულში მდებარე სკვერი, ე. ხარაძის სახელობის სკვერი, ხანდებში არსებული „დევების სკვერი“, ვ.ღონღამის სახელობის სკვერი, ეკლესიის გზაზე მდებარე სკვერი, ცენტრალური სკვერი, ჩოხოსნობის სკვერი, სპორტის სასახლესთან მდებარე სკვერი, მერიის წინ მდებარე სკვერი, 9 აპრილის სახელობის სკვერი.

ნ) სოფლის მხარდმჭერი პროგრამის ფრგლებში განსახორციელებელი პროექტები - პროგრამული კოდი 03 05 – 927.4 ათასი ლარი. 2019 წლიდან კვლავ აღდგა აღნიშნული პროგრამა. პროგრამის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტების დაფინანსება დადგენილი წესის შესაბამისად.

2. განათლება – 2128.4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამის აღწერა: მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. იგეგმება ორი საბავშვო ბაღის მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, მათ შორის ერთი სოფელ ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღის ბაზაზე და მეორე ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ საღანძილეში.

მოსალოდნელი შედეგი: ფიზიკურად და ტექნიკურად აღზრდილი ბავშვები, მათი სკოლისათვის მზაობა შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით; მოსწავლე-ახალგაზრდების მრავალმხრივი ნიჭის გამოვლენა და ინტელექტუალური განვითარება; საბავშვო ბაღებში შექმნილი სუფთა გარემო.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება – 1160.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01) პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯები, რომელიც ქმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად, ამჟამად მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სკოლამდელ განათლებას ეუფლება 587 აღსაზრდელი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება 28 ასაკობრივი ჯგუფით, მათ შორის 3 ბაგის ჯგუფით, გაერთიანებაში ამჟამად შედის ჩვიდმეტი საბავშვო ბაღი. გათვალისწინებულია N პირველ საბავშვო ბაღში გაზიფიცირება, კიციხის სკოლა-პანსიონის ბაღის ჯგუფის შემოერთება და ლორემის საბავშვო ბაღში მეორე ჯგუფის გახსნა. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ყველა საბავშვო ბაღში სტანდარტებთან მიახლოებით.

ბ) ზოგადი განათლების ხელშეწყობა – 863.4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 02)

ამ ქვეპროგრამით ხდება ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურებისა და საბავშვო ბაღის დაფინანსება 28 სკოლამდელი ასაკის ბავშვით, სკოლაში სწავლობს 134 მოსწავლე ხოლო ღამეს ათევეს 16, მათ შორის არის უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობას მოკლებული მოსწავლეები. ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება ძირითადად ხმარდება პანსიონის კუთხით დასაქმებული თანამშრომლებისა და საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით.



აღნიშნული ქვეპროგრამით მიმდინარე წლიდან საქართველოს მთავრობის განკარგულებით საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) სკოლისგარეშე დაწესებულება – 105.0 ათასი ლარი (პროგრამულიკოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, რომელშიდაც ფუნქციონირებს 14 შემოქმედებითი და ტექნიკური წრე 250 მოსწავლით, ყველა წრე უფასოა, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას დაბის, კიცხის, მარელისის, ლელვანის, მოლითის, საღანძილის, ბაზალეთის, ბორითის, ვერტყვიჭალის და წიფის სკოლებიდან, რომლებიც ეუფლებიან ხალხურ და საესტრადო სიმღერებს, რიტმული ცეკვას, მხატვრულ კითხვას, ხეზე კვეთას, გალობას, ხელგარჯილობას, ლიტერატურული თატრის ხელოვნებას, მხარეთმცოდნეობას, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, მათემატიკას,ხატვას, მაკრამეს, ინგლისურ ენას.

გარდა ამისა მოსწავლეთა სახლთან ფუნქციონირებს მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ დაბისა და სოფ. ვეტყვიჭალის საჯარო სკოლების ბაზაზე, რომელიც ნაწილობრივ ბიუჯეტით და ნაწილობრივ მშობელთა შემონატანით ფინანსდება.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 1317.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების, მომღერლების და სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე წარმატებული ახალგაზრდების წახალისებას, ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლინება.

მოსალოდნელი შედეგი: განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა; კვალიფიკაციური პედაგოგებისა და მწვრთნელების მოზიდვა; ახალგაზრდების ჩართულობა სპორტში და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ჯანსაღი მომავალი თაობა; კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის გაზრდილი მაჩვენებელი; ახალგაზრდების ხალხური ხელოვნების სფეროს მიმართ ინტერესი; საბიბლიოთეკო ფონდში არსებული წიგნების რაოდენობა, მკითხველთა რაოდენობა ბიბლიოთეკებში. შესაბამისი ლიტერატურის მიწოდებით კმაყოფილი მოსახლეობა; ახალგაზრდული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა; მრევლის გაზრდილი რაოდენობა; გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 385.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტთან და ტურიზმთან დაკავშირებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ:

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას იღებს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა; მინიფეხბურთის ჩემპიონატი ორგანიზაციებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის; სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი; სახალხო დღესასწაულების მოწყობა სოფელ ვახანში, ზვარეში, ხიდარსა კიცხში, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები და იმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები დოლი, მკლავჭიდი, ქართული ჭიდაობა, ქუჩის კალათბურთი. მხიარული სტარტები, საერთაშორისო გარბენი, მსოფლიო სპორტის დღის აღნიშვნა, ევროპის სპორტის კვირეული, სამოყვარულო ლიგის თამაშები.

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება რეორგანიზაციამდელი ა(ა)იპების უფლებამოსილებები, რომელსაც განახორციელებს ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი, რომლის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება- პოპულარიზაცია. მომავალი თაობის სხვადასხვა სპორტულ სექციებში ჩაბმა, თავისუფალი დროის ჯანსაღი ცხოვრების წესის ორგანიზება. უკანონო თევზჭერის დაგმობა, თევზაობის პოპულარიზაცია, ჯომარდობის მნიშვნელობის გაზრდა და სამომავლოდ ჯომარდობის სკოლის ჩამოყალიბება.სამოყვარულო ფილმების კონკურსი“ჩემი იმერეთი“,

სპორტულ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა სახის სექციები: თავისუფალი ჭიდაობა,ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუ-დო,კალათბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩონგბურთი, კუნგ-ფუ სანდა,



ტაიკვანდო, მძლეოსნობა, ჭადრაკი და შაში. სულ 23 ჯგუფია, გახსნილის ჯგუფები ბორითში, ვახანში, ხევში, კიცხში, ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში. მოსწავლეთ რაოდენობა სახელობითი სიით შეადგენს 350 მოსწავლეს. მეტი ინფორმაციის მიწოდება ტურიზმის მოყვარულთათვის, ხელი შეუწყობს მოსახლეობის ჩართულობას ბუნების (გარემოს) დაცვაში. მოეწყობა საზაფხულო კარვების ბანაკი სოფელ ზვარეში. ახალგაზრდები ფილმების საშუალებით წარმოადგენენ იმერეთის რეგიონის ისტორიულ ღირებულებებს და უკეთ გაეცნობიან რაიონში არსებულ ისტორიულ კულტურულ ტურისტულ ადგილებს.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 795.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურთან ერთად ფუნქციონირებს ა(ა)იპ სამუსიკო სკოლა და კულტურის სფეროს ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის შედეგად ახლადშექმნილი ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომლებიც მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერითა და საკუთარი შემოსულობების გამოყენებით ახორციელებენ სხვადასხვა სახის კულტურულ და სანახაობრივ ღონისძიებებს, როგორც მუნიციპალიტეტის ასევე ქვეყნის მასშტაბით. წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში.

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის მიზანია მომავალ თაობებს მისცეს სამუსიკო განათლება, აზიაროს კლასიკური მუსიკის უმდიდრეს შემოქმედებას, გააკეთილშობილოს ბავშვის სულიერი სამყარო და რაც მთავარია აღზარდოს კარგი მსმენელი. სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო) გიტარის, საესტრადო ვოკალის განყოფილებები. სკოლაში სწავლობს 90 მოსწავლე, სასწავლო პროცესს ემსახურება 9 პედაგოგი, სამუსიკო სკოლა ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, კონცერტებს და მონაწილეობას იღებს მუსიკალურ კონკურსებში, მომავალ წელს დაგეგმილია ათამდე კონცერტის გამართვა.

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან ფუნქციონირებს სახალხო და თოჯინების თეატრი, რომლის მიზანია თეატრალური ტრადიციების შენარჩუნება და გაგრძელება, სახალხო თეატრის შემოქმედების წარმოჩენა, ახალგაზრდა თაობის თეატრალურ ხელოვნებასთან ზიარება, კონტაქტების დამყარება ქართულ და უცხოურ თეატრალურ დასთან. სახალხო თეატრის ისტორია საუკუნეზე მეტს ითვლის და თავისი არსებობის მანძილზე მრავალი წარმატება მოიპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. თეატრს მიღებული აქვს რამოდენიმე გრან-პრი. თეატრი წარმოდგენებს მართავს როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში და მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში.

2010 წლიდან ხარაგაულში ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი, რომელმაც უკვე 7 პრემიერა გამართა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის და უკვე ყავს 200-მდე მუდმივი მაყურებელი. 2019 წელს წარმოდგენილი იქნება სახალხო თეატრის ერთი და თოჯინების თეატრის ორი წარმოდგენა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 კულტურის სახლი, სადაც გაერთიანებულია სხვადასხვა მიმართულებები. კერძოდ, ქორეოგრაფიული წრე, ფოლკლორული ასნსამბლი, სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი. 2018 წლის განმავლობაში არსებულ ცენტრში ხორციელდება სწავლების პროგრამები სადაც დადის 500 აღსაზრდელი და აგრეთვე ფუნქციონირებს პროფესიონალური წრეები სადაც მოღწეობს 1000 პირი.

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ფესტივალებსა და ღონისძიებებში, რომლის ძირითადი მიზანია ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, (ცეკვა, სიმღერა, ზეპირსიტყვიერება) ძველის მოძიება და მომავალი თაობებისათვის შენახვა, აღნიშნულის შესასრულებლად ახორციელებს პროექტს „მთაში დამალული მარგალიტები“. აწყობს გასვლით კონცერტებს მუნიციპალიტეტის სოფლებსა და სხვა რეგიონებში,

კულტურისა და ხელოვნების ცენტრს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტში წიგნის პროპაგანდასა და ინფორმაციული საზოგადოების შექმნასა და განვითარებაში, მასში გაერთიანებულია ცენტრალური და ტერიტორიულ ერთეულების ოცდასამი საბიბლიოთეკო განყოფილება უნიკალური წიგნადი ფონდებით; ცენტრალური ბიბლიოთეკა გადაქცეულია ინფორმაციის ცენტრად, სადაც უკვე რამდენიმე წელია ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით შეიქმნა „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი“, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს ტექნოპარკთან, სადაც მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები ეცნობიან თანამედროვე მიღწევებს, ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, ყველაზე პოპულარულია „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“, ბიბლიოთეკა შეძლებისდაგვარად პერიოდულად ანახლებს საბიბლიოთეკო ფონდს.



ცენტრში შემავალ ისტორიული მუზეუმს მასში დაცული საინტერესო მასალებით და ექსპოზიციით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების ისტორიის წარმოჩენის საკითხში, მუნიციპალიტეტში არის სულ 5 მუზეუმი, მუზეუმებში სულ განთავსებულია 170000 ექსპონატი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 25000. მიზანშეწონილია მოხდეს ინტერიერის განახლება სტანდარტების შესაბამისად. საჭიროა განახლდეს მატერიალური ტექნიკური ბაზა. მიზანშეწონილია გადამზადდნენ მუზეუმის თანამშრომლები, მასში დაცულია 10 623 -ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმში ინახება არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ვერწერული, გრაფიკული, სკულპტურული კოლექციების უნიკალური ნიმუშები, უამრავი ფოტომასალა, საეკლესიო ნივთები და წერილობითი ძეგლები. ტრადიციულად მუზეუმში ყოველ წელს ხორციელდება ათეულობით პროექტი და პროგრამა, ამჟამად მუზეუმს ესაჭიროება რეაბილიტაცია, კერძოდ სამუზეუმო ფონდებისა და ტენიანობის რეჟიმის მოწესრიგება და ექსპოზიციების ქიმიური ხსნარებით დამუშავება. ასევე ახალი ექსპოზიციის კონცეფციის შემუშავება, რათა გადაიქცეს თანამედროვეობის შესაბამის მუზეუმად.

ცენტრთან არსებული ლიტერატურული თეატრის ძირითადი მიზანი არის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების პოპულარიზაცია საქართველოს მასშტაბით, დიდებულ მამულიშვილთა ღვაწლის წარმოჩენა, კულტურული კონტაქტების გაღრმავება. თეატრი ყოველწლიურად ატარებს ლიტერატურული კონკურს „ოდეონს“, სამხატვრო პლენერს და სხვადასხვა ლიტერატურულ სპექტაკლებს.

გ) ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა 50.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირებისა მუნიციპალური ცენტრი“. პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სხვადასხვა საკონმდებლო აქტების გამოქვეყნების დაფინანსება, ყოველკვირეული გამოცემის საშუალებით „ახალი ხარაგაული“ ხდება მოსახლეობის ინფორმირებულობა მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული აქტივობების შესახებ. მასში განთავსებული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ნორმატიული აქტები. ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომელსაც აქვს საკმაოდ დიდი დატვირთვა და შეღავათია შორ მანძილზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ესაჭიროებათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან კომუნიკაცია მათთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

დ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება – 17.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური პროექტი „რა, სად, როდის“; პროექტი „თეატრი ყველა პატარას“, ქუთაისობის სახალხო დღესასწაული; შეხვედრა სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილ პედაგოგებთან, ფესტივალი „იმერეთის ხმა“, მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნები, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში დამამთავრებელი ჯგუფების გამოსაშვები სადამოს აღნიშვნა, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, იმერეთის თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობის მიღება, ქ. წყალტუბოში „რეტრო“ და ახალგაზრდულ ფესტივალებში მონაწილეობის მიღება, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, პროექტი „მრავალეთნიკური საქართველო“, შშმ პირებისათვის გასართობი ღონისძიებები, საახალწლო ღონისძიებები.

ე). რელიგიის დაფინანსება – 70.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა დაბაში ახლადშენებულ საკათედრო ტაძარს შიდა მოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად და საეკლესიო ინვენტარის შესაძენად.

ვ). ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა - 13.8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02 09) აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ხსნის საკუთარ წარმომადგენლობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სადაც ახალგაზრდობა უფასოდ შეისწავლის უძველეს ქართულ სიმღერებს და ტრადიციულ გალობას.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1007.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

პროგრამის აღწერა: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით



უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. მოსახლეობისათვის სოციალური გარემოს გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსება; სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგი: ინფექციისა და სხვადასხვა დაავადებების მიმართ ინფორმირებული მოსახლეობა და ლიკვიდირებული დაავადებები; მოსახლეობის სოციალური დახმარების დროული ხელშეწყობა.

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება – 132.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

